



რეგიონების უზრუნველყოფა
ინფორმაციითა და ამომრჩეველთა
გაძლიერება დემოკრატიისთვის

მცირე გრანტების პროგრამა DRIVE Democracy პროექტის მონაწილეებისთვის

პროექტის წარდგენის ბოლო ვადა: 10 ნოემბერი, 2020
მაქსიმალური მოთხოვნილი თანხა ერთი პროექტისთვის: 6000 ლარი

აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისათვის აცხადებს მცირე გრანტების კონკურსს - რეგიონების უზრუნველყოფა ინფორმაციით და ამომრჩეველთა გაძლიერება დემოკრატიისთვის - პროექტის მონაწილეებისთვის, საქართველოს ხუთივე ქალაქში: თბილისი, გორი, თელავი, ქუთაისი და ბათუმი.

საგრანტო განაცხადი შეუძლიათ შემოიტანონ პროექტის მონაწილეებს ინდივიდუალურად ან საინიციატივო ჯგუფებად. არ არის შეზღუდული თითოეულ ქალაქში მონაწილეთა მიერ ასეთი პროექტების წარდგენის რაოდენობა, თუმცა სასურველია, აქტივობები იმგვარად იყოს დაგეგმილი, რომ მასში სხვა მონაწილეების ჩართულობა იყოს უზრუნველყოფილი. პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომელიც მაქსიმალურად გაითვალისწინებს ჯგუფის სხვა წევრების ჩართულობას.

წელს, მცირე გრანტების პროგრამის პრიორიტეტია სამოქალაქო ჩართულობის გზით ადგილობრივი დემოკრატიის გაძლიერებაზე ორიენტირებული ინოვაციური იდეების მხარდაჭერა. EECMD დაინტერესებულია დააფინანსოს შემდეგი ხასიათის ინიციატივები:

- ადგილობრივი სოციალური და ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების შესწავლა, განსაკუთრებით პროექტის ფარგლებში შექმნილ საგზაო რუქებში ასახული იდეების დამატებით განვითარება და პოპულარიზაცია;
- ადგილობრივი მოსახლეობის (მათ შორის მიკრო დონეზე: უბანი, სოფელი, მიკრო-რაიონი, თემი) სოციალური და ეკონომიკური ინტერესების უკეთ იდენტიფიკაცია და ამ იდეების პოლიტიკურ თუ საარჩევნო დღის წესრიგში ასახვისათვის საჭირო ღონისძიებები;
- სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ურბანული ცხოვრების გაუმჯობესებისაკენ მიმართული ინოვაციური, მათ შორის საცდელი, ექსპერიმენტული იდეები;

შარაშიძის 7
0179, თბილისი (საქართველო)
+995 32 291 56 50/51
contact@eecmd.org | www.eecmd.org





რეგიონების უზრუნველყოფა
ინფორმაციითა და ამომრჩეველთა
გამლიერება დემოკრატიისთვის

- საცხოვრისი გარემოს გაუმჯობესების, უსაფრთხო და გონიერ ურბანულ მობილობაზე ფოკუსირებული ისეთი საინფორმაციო და ადვოკატირების კამპანიები, რომელთა მიზანია ამ საკითხების პოლიტიკურ და საარჩევნო დღის წესრიგში, მათ შორის პოლიტიკურ პარტიათა და კანდიდატთა წინასაარჩევნო პროგრამაში ასახვა;
- მოქალაქეთა ჩართულობის გაძლიერება თვითმმართველობის განხორციელებაში და ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტის საქმეში მოქალაქეთა მონაწილეობის წარმატებული პრეცედენტების შექმნა;
- საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობის გაძლიერება ქალაქის/თემის პრობლემების გადაჭრაში გადაწყვეტილების მიღების დონეზე;
- ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხის ზრდის ხელშეწყობა;

განაცხადის ტექსტი უნდა პასუხობდეს საპროექტო განაცხადის ნიმუშის ინსტრუქციებს. დაფინანსდება მხოლოდ შერჩეული პროექტები. ბიუჯეტის მაქსიმალური მოცულობა 6000 ლარი.

არ დაფინანსდება პროექტები, რომლებიც:

- მხარს უჭერენ, პირდაპირ ან ირიბად, რომელიმე პოლიტიკური პარტიის საქმიანობას
- ეწევიან რომელიმე ეთნიკური ან სოციალური ჯგუფის დისკრიმინაციას
- ახდენენ ძალადობის პროპაგანდას.

პროექტის განხორციელების ვადები: არაუგვიანეს 2021 წლის მარტისა, თუმცა განიხილება ინდივიდუალურად წარმოდგენილი პროექტის მიხედვით.

საპროექტო წინადადებები გამოგზავნეთ მისამართზე democracyschool@eecmd.org არაუგვიანეს 10 ნოემბრისა. წერილის სათაურის ველში აუცილებლად მიუთითეთ: “DRIVE Democracy- საგრანტო განაცხადი”. (განაცხადისთვის გამოიყენეთ Sylfaen, 11 შრიფტი)

შარაშიძის 7
0179, თბილისი (საქართველო)
+995 32 291 56 50/51
contact@eecmd.org | www.eecmd.org

